საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№244 2017 წლის 13 სექტემბერი ქ. თბილისი

„სააპელაციო საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2016 წლის 17 ოქტომბრის №343 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24[1] მუხლის მე-2 პუნქტისა და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26[1] მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. სააპელაციო საბჭოს წევრის უფლებამოსილება შეუწყდეს სააპელაციო საბჭოს წევრს – ნინო ჩიქოვანს.

2. „სააპელაციო საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2016 წლის 17 ოქტომბრის №343 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24[1] მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სააპელაციო საბჭოს წევრებად დაინიშნონ:

ნინო ოკრიბელაშვილი – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, მედიცინის ფაკულტეტის ფსიქიატრიისა და სამედიცინო ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარე);

გრიგორ ტატიშვილი – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რ. აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორი (სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

ნინო დობორჯგინიძე – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი (სააპელაციო საბჭოს მდივანი);

მარინე ჩიტაშვილი – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ლაშა გოცირიძე – უკრაინის ამერიკული უნივერსიტეტის (American University of Ukraine) რექტორი;

გელა გელაშვილი – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;

ელენე ჯიბლაძე – სსიპ – ათასწლეულის გამოწვევის ფონდის – საქართველოს (MCA – Georgia) უმაღლესი და პროფესიული განათლების პროექტის კოორდინატორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი;

წუგზარ სხირტლაძე – შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი;

ნინო ოხანაშვილი – შპს „HR ექსპერტის“ დირექტორი;

დავით კახნიაშვილი – ა(ა)იპ – არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის თავმჯდომარე;

გიორგი ვეკუა – საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი.“.

გიორგი კვირიკაშვილი